ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 591191525

N 237
31/05/2018

237-07-3-201805311127

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 29 მაისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №8- 3 (სამი) ფურცელი

დასკვნა №8- 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი ჩახვაძე

კომისიის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №8

ქ.ლანჩხუთი **29.05. 2018 წელი**

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

კომისიის წევრები: კარლო კვიტაიშვილი, ალექსანდრე მახათაძე, ზაზა წულაძე, ზაალ სანაძე.

მოწვეული: მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატი: თორნიკე ტიკაძე, ირაკლი მარშანიშვილი, ოთარ პატიეშვილი, ზურაბ კუკულავა.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

3. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძემ. მისი განმარტებით ხელშეკრულების გაფორმებას ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ასევე მოსაკრებლის ამოღებას უზრუნველყოფს მერიის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი", რომლის შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური. ასევე დასუფთავების წესების დარღვევაზე და დამრღვევთა მიმართ ,,ნარჩენების მართვის კოდექსით" გათვალისწინებული ნორმების განხორციელებაზე კონტროლი ეკისრება მერიის ზედამხედველობის სამსახურს.

კომისიის მოსაზრებაა, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ აწარმოოს მოლაპარაკება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან, რათა ქალაქის ტერიტორიაზე ნაგვისა და წყლის გადასახადი მიბმული იქნას ერთმანეთზე.
ასევე კომისიის მოსაზრებაა, რომ შეიქმნას ერთიანი ელექტრონული ბაზა, გადასახადის გადამხდელს მიენიჭოს საიდენტიფიკაციო კოდი, რომლითაც შეეძლებათ ისარგებლონ როგორც საბანკო, ასევე სწრაფი გადახდის აპარატების მომსახურებითაც. მერიის დაქვემდებარებაში არსებულ ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს", რომელიც პასუხისმგებელი იქნება თანხის ამოღებაზე უნდა ჰქონდეს წვდომა გადასახადის გადამხდელთა ერთიან ელექტრონულ ბაზაზე, რათა გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.
სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ. მისი განმარტებით, ზემოთ აღნიშნული განკარგულების ცვლილების პროექტის მომზადება განაპირობა, სამართლებრივი აქტით დამტკიცებული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომანქანების) შეფასებამ და შემდგომ მისი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმაში გადატანამ.

კომისიის წევრებმა **ალექსანდრე მახათაძემ, ზაალ სანაძემ, ზაზა წულაძემ, კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ აუქციონზე გატანილი ავტომობილების ფასები არარეალურია. სხვა შენიშვნები მათი მხრიდან არ დაფიქსირებულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნის გათვალისწინებით.
სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძემ დააყენა წინადადება ქალაქის ტერიტორიის მაწანწალა ძაღლებისაგან გასუფთავების თაობაზე. ასევე აღნიშნა, რომ მოქალაქე დავით გულიაშვილის სახელზე შემოსულია განცხადება, რომელიც ითხოვს, რომ მის საკუთრებაში ქ.ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩა №126 -ში მდებარეობს ერთსართულიანი შენობა-ნაგებობა, რომელსაც ესაზღვრება ჭადრის ჯიშის ხე-მცენარე, რომლის ხის ტოტები და ფოთლები აზიანებს შენობის სახურავს, აბინძურებს და საცობს უქმნის სახურავის წყალსადენ სისტემას, საიდანაც ორჯერ ჩავიდა წყალი იქ განთავსებულ ლიბერთში

ბანკში. მოქალაქე ითხოვს დახმარებას, რომ შეიქმნას შესაბამისი კომისია ან მიეცეს უფლება აღნიშნული ხე-მცენარის გადაბელვის ან მოჭრის თაობაზე. კომისიის მიიჩნევს, რომ მოქალაქე დავით გულიაშვილს უნდა მიეცეს თანხმობა აღნიშნული ხე მცენარის გადაბელვის თაობაზე.

კომისიის წევრებმა **ალექსანდრე მახათაძემ, ზაალ სანაძემ, ზაზა წულაძემ, კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ უნივერმაღის წინ არსებულ სკვერში მდებარე საპირფარეშოდან გამოდის საშინელი სუნი, ამიტომ აუცილებელია აღნიშნულის მოწესრიგება და მისთვის ფუნქციის მინიჭება ან წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდეს შენობის დემონტაჟი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა
და ბუნებრივი რესურსების საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: **გიორგი ჩახვაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №8

29. 05. 2018 წელი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 29 მაისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების
მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **გიორგი ჩახვაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

29.05. 2018 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ჩახვაძე	12 00	
2	ზაზა წულაძე	12 00	
3	კარლო კვიტაიშვილი	12 00	
4	ალექსანდრე მახათაძე	12 00	
5	ზაალ სანაძე	12 00	
6	თორნიკე ტიკაძე		
7	ოთარ პატიეშვილი		
8	ზურაბ კუკულავა		
9	ირაკლი მარშანიშვილი		